

ტრენინგ-პროგრამის (სასწავლო კურსის) წარსადგენი ფორმა

1. ტრენინგ-მოდულის/ტრენინგ-პროგრამის მომწოდებელი (სტრუქტურული ერთეული-სამსახური) და სტატუსი (თანამდებობა, პოზიცია):
ინკლუზიური განათლების ხელშეწყობის პროგრამის მენეჯერი
2. ტრენინგ-მოდულის/ტრენინგ-პროგრამის განმახორციელებელი ერთეული:
მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი.
3. ტრენინგ-მოდულის/ტრენინგ-პროგრამის დასახელება: **“მშობლებთან კომუნიკაცია ინკლუზიური განათლებისათვის”**
4. პროგრამის მიზნობრივი ჯგუფი/ჯგუფები:
 - 4.1 ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მომუშავე დამრიგებლები, მასწავლებლები, სპეცმასწავლებლები, ადმინისტრაციის წევრები და საგანმანათლებლო პროცესში ჩართული სხვა პირები.
 - 4.2. ფასიანი ტრენინგის ჩატარების შემთხვევაში მიზნობრივი ჯგუფი /ჯგუფები განისაზღვრება ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.
5. ტრენინგ-მოდულის/ტრენინგ-პროგრამის მსმენელთა დასაშვები რაოდენობა:
 - 5.1 უფასო ტრენინგების შემთხვევაში: 15-25 მსმენელი (გარემო პირობებიდან გამომდინარე შესაძლებელია რაოდენობის გაზრდა ან შემცირება).
 - 5.2 ფასიანი ტრენინგების შემთხვევაში: 12-15 მსმენელი.
6. რეგიონული დაფარვა: საქართველო
7. ტრენინგ-მოდულის/ტრენინგ-პროგრამის ხანგრძლივობა და დროში განაწილება: **12 სთ**
8. ტრენინგ-მოდულის/ტრენინგ-პროგრამის მოცულობა ECTS კრედიტებისა და საათების (საკონტაქტო და არასაკონტაქტო) რაოდენობის მიხედვით: **0.5 კრედიტი**
9. ადამიანური რესურსი: შრომითი ხელშეკრულებით აყვანილი პირი (ტრენერი/ტრენერები)

10. მატერიალური და ტექნიკური კონკრეტული სასწავლო რესურსი: ფლიფჩარტი, თაბახის ფურცლები, მარკერები, კალმისტრები, საკითხავი მასალა, სავარჯიშოების მასალა, პროექტორი და კომპიუტერი.
11. სერტიფიკატის გაცემის წესი და პირობები: 10 საათის დასწრების შემთხვევაში მასწავლებელზე გაიცემა ტრენინგის გავლის ცნობა და შესაბამისი კრედიტი.
12. მსმენელთა შეფასების სისტემა: მინიმუმ 10 საათის დასწრების შემთხვევაში დამსწრეს ეთვლება ტრენინგი გავლილად.